UDC 09
SCOPUS CODE 1407
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-1-164-173

# სამოქალაქო საზოგადოების გამოწვევები საქართველოში

**რამაზ ოთინაშვილი** ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: R.Otinashvili@gtu.ge

**შალვა კუტუბიძე** ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: Kutubidzeshako@gmail.com

**გიორგი ოთინაშვილი** ქუთაისის საერთაშორისო უნივერსტიტეტი, საქართველო, 4600, თბილისი, ახალგაზრდობის გამზირი, მე-5 შესახვევი
E-mail: giorgiotinashvili12@gmail.com

**რეცენზენტები:**

**გ. ყურაშვილი,** სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
E-mail: g.kurashvili@gtu.ge

**შ. ვეშაპიძე,** თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი
E-mail: shota.veshapidze@tsu.ge

**ანოტაცია.** საქართველოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე თავი იჩინა სერიოზულმა გამოწვევებმა, რომლებიც კომპლექსურ ანალიზს საჭიროებს, ისტორიული არსის, ხასიათისა და გადასვლის პირობების გათვალისწინებით, რათა მოხდეს მოსახლეობის სოციალური ენერგიის პოზიტიური მიმართულებით რეალიზაცია. სამოქალაქო საზოგადოება ყალიბდება საშუალო ფენის ბაზაზე. დემოკრატიულ სახელმწიფოში იგი მოსახლეობის 70–80% შეადგენს და აქვს გამჭვირვალე ოფიციალური შემოსავლები. ესენია ძირითადად ლეგალურ ბიზნესში დასაქმებული მეწარმეები და ინტელიგენცია, რომლებიც ე.წ. საპროტესტო დემოკრატიას ქმნის, რაც „საფრთხის შემცველია“ არადემოკრატიული ხელისუფლებისათვის.

რთულია საშუალო ფენის გამოყოფა ერთი რომელიმე ნიშნით. საჭიროა „ინტეგრალური კრიტერიუმი“, რომელიც მოიცავს აღნიშნული ფენის მახასიათებელი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ნიშნების ნაკრებს. მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის თუ როგორ ცხოვრობს მატერიალურად საშუალო ფენა, არამედ რატომ ცხოვრობს ასე – აქვს თუ არა შესაბა-

მისი პროფესიულ-კულტურული კაპიტალი და როგორ იყენებს ცხოვრების ღირსეული დონის უზრუნველსაყოფად. სამწუხაროდ, საქართველოში ნაკლებად შეინიშნება ქმედითი საშუალო ფენის ჩამოყალიბების ტენდენცია. მოსახლეობის არსებულ სოციალურ სტრუქტურას ვერ განვიხილავთ, როგორც მდგრადს. სამოქალაქო საზოგადოება და დემოკრატია ვითარდება საბაზრო ინსტიტუტების, პირველ ყოვლისა კი ჯანსაღი კონკურენციის დანერგვით, რისი პირობებიც ჯერჯერობით სუსტია.

**საკვანძო სიტყვები:** დემოკრატია; კონკურენცია; სამოქალაქო საზოგადოება; საშუალო ფენა; სახელმწიფო.

## შესავალი

ქართულ სოციალურ ლიტერატურაში სამოქალაქო ურთიერთობის თემა არასაკმარისადაა დამუშავებული. ათწლეულების განმავლობაში აღნიშნული სფერო საზოგადოებამცოდნეთათვის ტაბუდადებული იყო, რისი შედეგიც დღეს შესამჩნევია.

რეფორმების დასაწყისში მრავალი დემოკრატი პოლიტიკოსი თვლიდა, რომ საკმარისია დაიშალოს ტოტალიტარული სახელმწიფო და ავტომატურად წარმოქმნება გამჭირვალე საზოგადოება, რომელიც სამართლებრივ სახელმწიფოს შექმნის. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, კომუნისტურმა იდეოლოგიამ და რუსეთის შემადგენლობაში გატარებულმა 200-მა წელმა უკვალოდ არ ჩაიარა. ხელი ავიღეთ ავტორიტარულ ინსტიტუტებზე, თუმცა დავრჩით მისი პოლიტიკური კულტურის მძევალი.

ისტორიულად, ქართველი ერისთვის დამახასიათებელი იყო მაღალზნეობრივი ფასეულობები – ტოლერანტიზმი, მოყვასისადმი ერთგულება, პატრიოტიზმი, შრომისმოყვარეობა. თანამედროვე კრიზისული სიტუაცია ქვეყნის წინაშე აყენებს ზოგადეროვნულ მიზანს – სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების ღირსეული უზრუნველყოფა, სადაც თითოეული პიროვნების სამოქალაქო უფლებები დაცული იქნება.

## ძირითადი ნაწილი

საქართველოს განვითარების დღევანდელ ეტაპზე თავი იჩინა სერიოზულმა გამოწვევებმა, რომლებიც კომპლექსურ ანალიზს საჭიროებს, ისტორიული არსის, ხასიათისა და გადასვლის პირობების გათვალისწინებით, რათა მოხდეს მოსახლეობის სოციალური ენერგიის აღმშენებლური მიმართულებით რეალიზაცია. აღნიშნული გამოწვევებია: როგორია საზოგადოების შეხედულება საკუთარ სახელმწიფოზე და მის წინაშე მდგარ გამოწვევებზე? როგორია მათი აზროვნებისა და სტრატეგიული ხედვის დონე, ფასეულობებისა და პრიორიტეტების სისტემა? როგორია პოლიტიკურ, ბიზნესელიტას და მოსახლეობას შორის დამოკიდებულება?

ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ურთიერთობების ნგრევის შედეგად საქართველოში წარმოიშვა არა სამოქალაქო საზოგადოება, შესაბამისი სამართლებრივი სახელმწიფოთი, არამედ „ჩრდილოვანი“, სადაც არცთუ იშვიათად სახელმწიფო ემსახურება ფინანსური ოლიგარქების ინტერესებს, ქვეყნის უსაფრთხოებისა და მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესების უგულებელყოფით.

გარდამავალი პერიოდის უპრეცედენტო ეკონომიკურმა კრიზისმა მოსახლეობის დეზორგანიზაცია გამოიწვია. აღნიშნული უნდა გავიგოთ არა მხოლოდ, როგორც საზოგადოების უმრავლესობის გაღარიბება, არამედ ორგანიზაციისა და საკუთარი უფლებების დაცვის შესაძლებლობების დაკარგვა.

მოუმზადებელმა რეფორმებმა, მათმა ასოციალურმა ხასიათმა გამოიწვია არა სოციალური პროტესტი, არამედ მოსახლეობის დაქსაქსვა, ყველა გადარჩენისთვის ზრუნავს. საზოგადოების ცხოვრების წესი და, შესაბამისად, ცნობიერება საბაზრო რეფორმების დასაწყისში იმდენად იყო სახეშეცვლილი, რომ ჯერაც არ გამქრალა.

მე-20 საუკუნის 1980-იანი წლების მეორე ნახევარში საბჭოთა საქართველოში დაწყებული საზოგადოებრივი გარდაქმნის მიზანი იყო დემოკრატიული ურთიერთობების და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა.

1980-იანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბება დაიწყო მრავალრიცხოვანმა საშუალო ფენამ, რომელშიც შედიოდა ინტელიგენცია და მაღალკვალიფიციური მუშები. მათი ინტელექტუალური და შემოქმედებითი პოტენციალი არ ჩამოუვარდებოდა ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის და ბალტიის ქვეყნების მოსახლეობის პოტენციალს.

თუმცა გარდამავალი პერიოდის არაადეკვატური რეფორმების შედეგად საშუალო ფენა მკვეთრად შემცირდა. მათი უმრავლესობა აქტიური შემოქმედებითი ცხოვრებიდან გარიყული აღმოჩნდა. ბევრი იძულებული გახდა საზღვარგარეთ წასულიყო. გატარებული რეფორმატორების მეთოდოლოგიური შეცდომა მდგომარეობდა იმაში, რომ საკუთრებითი ურთიერთობები იმთავითვე მხოლოდ ეკონომიკურ სიბრტყეში განიხილებოდა.

დემოკრატიულ სახელმწიფოზე წარმატებული გადასვლის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი – მოსახლეობის შემოქმედებითი რესურსი, იმის ნაცვლად, რომ გამოყენებულიყო ქვეყნის საკეთილდღეოდ, მნიშვნელოვანწილად დათრგუნული და გარიყული აღმოჩნდა, ხოლო გზა სამოქალაქო საზოგადოების შექმნისკენ – „გრძელი და ეკალ-ბარდებით მოცული.“

არაბუნებრივი სოციალისტური ეკონომიკური სისტემის „ჩამოშლა“ გარდაუვალი იყო, მაგრამ შეიძლებოდა განხორციელებულიყო ცივილიზებულად – სამოქალაქო დაპირისპირებისა და ეთნოკონფლიქტების გარეშე.

სამოქალაქო საზოგადოება ყალიბდება საბაზრო ურთიერთობებისა და კონკურენციის ელემენტების დანერგვასთან ერთად. თუ სამოქალაქო საზოგადოების ბაზისი დამოუკიდებელი პიროვნებაა, მისი მზიდი კონსტრუქციები – გაერთიანებები და ინსტიტუტებია, რომლებიც მოწოდებულია პიროვნების (საზოგადოების) უფლებისა და თავისუფლების ერთობლივი დაცვისთვის. საქართველოში სუსტია ჯანსაღი კონკურენცია, შედეგად მოიკოჭლებს მოსახლეობის მოქალაქეობრივი ცნობიერება, რომელიც საერთო ინტერესებით ვერ ერთიანდება.

იმ სახით, რომლითაც დღეს საზოგადოება ყალიბდება, ნაკლებად უზრუნველყოფს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას. არსებულმა გარემომ, რაც მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ეკონომიკური რეფორმების არაადეკვატურობით, მოსახლეობის ცნობიერებაში დემოკრატიული იდეის დისკრედიტაციას შეუწყო ხელი.


ISSN 1512-0996
www.shromebi.gtu.ge

ხალხს გაუჩნდა აპათია და გაუცხოება სამოქალაქო აქტიურობისადმი. სუსტია ნდობა მთავრობასა და მოსახლეობას შორის. საზოგადოება ვერ ზემოქმედებს ხელისუფლებაზე, ქმნის მხოლოდ ფონს მისი საქმიანობისათვის. ასეთი საზოგადოება მანიპულირების ობიექტად ადვილად იქცევა.

**საშუალო ფენის ჩამოყალიბების თავისებურებები**

ცნობილია, რომ სამოქალაქო საზოგადოების საფუძველი საშუალო ფენაა. დემოკრატიულ სახელმწიფოში იგი მოსახლეობის 70–80%-ს შეადგენს და აქვს გამჭვირვალე, ოფიციალური შემოსავლები. ესენი არიან ძირითადად ლეგალურ ბიზნესში დასაქმებული მეწარმეები და ინტელიგენცია. საშუალო ფენა ე.წ. „საპროტესტო დემოკრატიას“ ქმნის, რაც საფრთხის შემცველია არადემოკრატიული ხელისუფლებისათვის.

ანტიკურ ქვეყნებში საშუალო ფენას წარმოადგენდნენ თავისუფალი მიწათმოქმედები და ხელოსნები, რომლებიც სხვადასხვა დროს მოსახლეობის 40–60%-ს შეადგენდნენ. თუმცა შუა საუკუნეების დასაწყისში ომებისა და ქარტეხილების შედეგად საშუალო ფენა მნიშვნელოვნად შემცირდა, თითქმის 10%-მდე.

ათასი წელი გავიდა, რომ საშუალო ფენა გაზდილიყო 20–25%-მდე, რაც მოხდა მე-17–18 საუკუნეებში. თავისუფალი კონკურენციის ეპოქაში (XIXს.) მოსახლეობის დიფერენციაცია შეძლებულებსა (კაპიტალისტებს) და ღარიბებს (მუშა-პროლეტარიატს) შორის ისევ გაიზარდა.

მე-19–20 საუკუნეების მიჯნიდან საშუალო ფენა აშშ-სა და დასავლეთის ქვეყნებში კვლავ იზრდება. აღნიშნულს ხელი შეუშალა მხოლოდ პირველმა და მეორე მსოფლიო ომებმა. ამავე დროს საჭიროა ერთმანეთისგან გავმიჯნოთ ქვეყნები: აშშ, ინგლისი, შვედეთი, ჰოლანდია, სადაც საშუალო ფენა მაღალი ტემპით იზრდებოდა და მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში 50–60% მიაღწია, რითაც საშუალება მიეცათ, თითქმის 100 წელი მდგრადი განვითარების პირობებში, რევოლუციების, სამოქალაქო ომისა და ეთნოკონფლიქტების გარეშე ეცხოვრათ.

ინდუსტრიული ქვეყნების მეორე ჯგუფში შედის: გერმანია, იტალია, იაპონია, რუსეთი, სადაც მძლავრი საშუალო ფენა, მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში, ვერ შეიქმნა და 20–30% შეადგინა. ავტორიტარული რეჟიმების შედეგად აღნიშნულმა ქვეყნებმა მიმართა მილიტარისტულ-კომუნისტურ-ფაშისტურ ექსპერიმენტებს, რამაც მათთვის მნიშვნელოვანი გამოწვევები შექმნა.

მოწინავე ქვეყნებში საშუალო ფენის შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი ფორმირდება მათი საკუთრებიდან – უძრავი და მოძრავი ქონებიდან. მოძრავი ქონების არსებითი კომპონენტია ფასიანი ქაღალდები – აქციები და ობლიგაციები. საქართველოში საბაზრო ეკონომიკის აღნიშნული სეგმენტი არაა განვითარებული. ამიტომ, საჭიროა ხელი შეეწყოს საფონდო ბირჟის განვითარებას, ყურადღება მიექცეს წვრილ აქციონერთა ფენის ჩამოყალიბებას, რომლის ბირთვს საშუალო ფენა შეადგენს და მაკროეკონომიკური სტაბილიზატორის ფუნქციას ასრულებს.

საშუალო ფენის შეფასების მრავალი კრიტერიუმი არსებობს, მათგან გამოიყოფა:

- მატერიალურ-ქონებრივი: შემოსავლების დონე და მოხმარების სტრუქტურა, ქონების ფლობა, შესაძლებლობა დანაზოგისადმი;

- პროფესიონალურ-კვალიფიკაციური და სოცი-

ალურ-თვითიდენტიფიკაცია: განსწავლულობის (განსაკუთრებით საზოგადოებრივი განათლების) ხარისხი, მსოფლმხედველობა, ფასეულობების სტრუქტურა, ცხოვრების წესი და სტანდარტი;

- თვითდამკვიდრების (საკუთარი უფლებების დაცვა, სოციალური პროტესტის გამოხატვა) შესაძლებლობები.

ზოგიერთი ექსპერტი გამოყოფს საშუალო ფენის ნიშანს – წარმატებულობას, ასევე ქვეყნისთვის გადასახადების გადახდის უნარს და კონტროლს მათ სწორ ხარჯვაზე.

ავტორთა ჯგუფი საშუალო ფენას მიაკუთვნებს მათ, ვისაც უკავია მედიალური მდგომარეობა მოსახლეობის სოციალურ ვერტიკალში შემდეგ პოზიციებზე:

1. ოჯახური ბიუჯეტის სიდიდე;
2. მატერიალური მდგომარეობით კმაყოფილება;
3. თვითიდენტიფიკაციის შესაძლებლობა.

თანამედროვე გამოკვლევებით მიჩნეულია, რომ ქვეყანაში, სადაც ერთ სულზე მშპ-ის სიდიდე 8 ათას აშშ დოლარზე ნაკლებია, რთულია აშენდეს დემოკრატიული ინსტიტუტები, ხოლო თუ 20 ათასზე მეტი ვერ იქნება – არადემოკრატიული. საერთაშორისო მონეტარული ფონდის მონაცემებით, საქართველოში აღნიშნული მაჩვენებელი $7.6 ათასს უტოლდება.

დემოკრატიული საზოგადოების მრავალრიცხოვანი ნაწილი – საშუალო ფენა გამოირჩევა არა მხოლოდ რაოდენობრივი მრავალრიცხოვნობით, არამედ სპეციფიკური მახასიათებლებით, რაც ქვეყნის მოსახლეობის დანარჩენი ნაწილისაგან განასხვავებს.

სახელმწიფოში საშუალო ფენა ქმნის მასიურ მოთხოვნას და ქვეყანას უზრუნველყოფს სტაბილური საგადასახადო შემოსავლებით. ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში საშემოსავლო გადასახადზე მოდის მთლიანი საგადასახადო შემოსავლების 40%, რომელსაც ძირითადად მოსახლეობის საშუალო ფენა იხდის. ასევე გადასახადების მნიშვნელოვან ნაწილს იხდიან მცირე მეწარმები - მოგების, სოციალური, ქონების და სათამაშო ბიზნესის გადასახადების სახით. საერთო ჯამში ჯამური საგადასახადო შემოსავლების 80% საშუალო ფენაზე მოდის.

თანამედროვე სპეციალისტს უნდა ჰქონდეს ცოდნის ფართო სპექტრი, მულტიდისციპლინური საქმიანობისა და ექსპერტიზის უნარი. საკუთარ თავზე მუშაობით რეგულარულად უნდა შეიძინოს ახალი კომპეტენციები, აღჭურვილი იყოს პრაქტიკული ჩვევებით და ესმოდეს, როგორ გამოიყენოს თეორიული ცოდნა პრაქტიკაში.

მოწინავე სოციალურ ლიტერატურაში ჩამოყალიბებულია „ახალი საშუალო ფენისადმი“ (რომლებსაც ხშირად IT სპეციალისტებსაც ეძახიან) კუთვნილების შემდეგი ძირითადი ასპექტები:

- განათლებასა და ინტელექტუალურ რესურსში განსხვავება. დღეს უთანასწორობას ბადებს იმ ადამიანთა პირადი თვისებები, რომლებიც განსხვავდება ინფორმაციის მოძიების უნარით და შესაძლებლობით მისი ეფექტური გამოყენებისადმი.

- გამოვლინდა IT სფეროში დასაქმებულების სპეციფიკური ნიშნები შრომით ურთიერთობათა სისტემაში;


ISSN 1512-0996
www.shromebi.gtu.ge

- IT სფეროს საქმიანობის ხასიათის სპეციფიკური ნიშნები გულისხმობს მათ მობილურობას – ავტონომიურობას, დამოუკიდებლობასა და შედეგების პროგნოზირებას.

IT პროფესიონალი განსხვავება ჩვეულებრივი სპეციალისტისგან, რაც მას ხდის განსაკუთრებულად ღირებულს კომპანიისთვის, ქვეყნისა და გლობალური ბაზრისთვის.

გაუმართლებელია საშუალო ფენის გამოყოფა ერთი რომელიმე ნიშნით. საჭიროა „ინტეგრალური კრიტერიუმი“, რომელიც აღნიშნული ფენის მახასიათებელი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემების ნაკრებს მოიცავს. მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის, თუ როგორ ცხოვრობს ფინანსურად საშუალო ფენა, არამედ რატომ ცხოვრობს ასე – აქვს თუ არა შესაბამისი პროფესიულ-კულტურული რესურსი და როგორ იყენებს ცხოვრების ღირსეული დონის უზრუნველსაყოფად.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამოქალაქო საზოგადოება ყალიბდება საშუალო ფენის საფუძველზე, რომელიც მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდეს. სამწუხაროდ, საქართველოში ნაკლებად შეინიშნება აღნიშული ფენის ჩამოყალიბების ტენდენცია.

ზოგიერთი მოსაზრებით, საშუალო ფენა ჩვენთან საერთოდ არ არსებობს. ჩვენ არ ვიზიარებთ ამ მოსაზრებას და აღვნიშნავთ, რომ საშუალო ფენა არსებობს, რასაც ადასტურებს რეალური ცხოვრება – პრესტიჟული ავტოტრანსპორტით გადავსებული გზები, ახალი ბიზნესობიექტები, სუპერმარკეტების მძლავრი ქსელი, პრესტიჟული რესტორნები, ასევე მუდმივად მზარდი საქონელბრუნვის მოცულობა და ფასები ვაჭრობის სხვადასხვა სფეროში და ა.შ. მაგრამ, მთავარია რა წყაროებიდან ღებულობს მოსახლეობის „მხარჯველი“ ნაწილი შემოსავლებს.

მოსახლეობის სოციალური სტრუქტურის ანალიზი შემდეგ სურათს გვაძლევს:

- მდიდრები მოსახლეობის 4–5%-ს შეადგენენ. ესაა უმაღლესი რანგის პოლიტიკური და ბიზნესელიტა და მსხვილი მესაკუთრეები;

- საშუალო ფენა მოსახლეობის 40–45%-ს შეადგენს. პირობითად დღევანდელი საშუალო ფენა ორ ჯგუფად შეიძლება დავყოთ:

პირველი ჯგუფია ოფიციალური შემოსავლების მქონე საშუალო ფენა, რომელიც მოსახლეობის 20–22%-ს შეადგენს. აღნიშნული ნაწილი, ძირითადად, დასაქმებულია პრესტიჟულ, მაღალანაზღაურებად საჯარო სამსახურებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში, ძალოვან სტრუქტურებში, ბანკებში, IT კომპანიებში და ა.შ. მათი რაოდენობა, სამწუხაროდ, ნაკლებია ოპტიმალურ დონეზე. შედეგად, ისინი ვერ ქმნიან ჯანსაღ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ამინდს ქვეყანაში.

მეორე ჯგუფი ე.წ. „ჩრდილოვანი საშუალო ფენა“ მოსახლეობის ასევე დაახლოებით 20–22%-ია, რომლის შემოსავლები ძირითადად არალეგალურია. არალეგალური არ ნიშნავს კრიმინალურს. არაგამჭვირვალე შემოსავლების მიღება შესაძლებელია: ხელოსნობით, რეპეტიტორობით, ბავშვისა და მოხუცის მოვლით, ასევე ბინის გაქირავებით, საოჯახო მიკრობიზნესით და ა.შ. მცირე ნაწილს შეიძლება ჰქონდეს კრიმინალური შემოსავალი სხვადასხვა მაქინაციისგან, როგორიცაა: გაყალბება, გამოძალვა, ქურდობა.

თანამედროვე კვლევებით საშუალო ფენას განეკუთვნება ოჯახი, რომელიც ფლობს ქვეყანაში არსებული საშუალო ხელფასის 30–40 წლის ეკვივალენტურ საკუთრებას. ეს შეიძლება იყოს უძრავი ქონება და კომერციული ფართობი, მოძრავი ქონება – ფასიანი ქაღალდები და აქციები, თანამედროვე ავტომანქანა და გრძელვადიანი მოხმარების საყოფაცხოვრებო ტექნიკის სრული ნაკრები და ა.შ.

საქართველოში არსებული ცხოვრების სტანდარტის გათვალისწინებით, მსგავსი ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი 1 სულზე 4000–5000 ლარს უნდა შეადგენდეს, ხოლო ოთხსულიან ოჯახზე – 10000–12000 ლარს. წლიურად ერთ სულზე შემოსავალი გამოდის არანაკლებ 50 000 ლარი, ხოლო ოჯახზე – 120000 ლარი. მსგავსი შემოსავლებისა და შესაბამისი საკუთრების მქონე ოჯახი ყოველთვის დაინტერესებულია ქვეყანაში სტაბილურობის შენარჩუნებით.

მრავალრიცხოვანი, ლეგალური შემოსავლების მქონე საშუალო ფენა ქმნის ე.წ. „საპროტესტო დემოკრატიას“, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „საშიშია“ არადემოკრატიული ხელისუფლებისთვის.

ღარიბები საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს, 50%-ს შეადგენს. მათ რიცხვს განეკუთვნება: სამეცნიერო ინტელიგენცია და სოციალურად დაუცველი ფენა – პენსიონერები, დევნილები, ინვალიდები და ა.შ. მოსახლეობა, რომლის შემოსავლები საარსებო მინიმუმზე ქვემოთაა, მოკლებულია რეალობის ადეკვატური აღქმის უნარს.

საქართველოს მოსახლეობის ზემოაღნიშნულ სოციალურ სურათს ვერ განვიხილავთ, როგორც მდგრადს. როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ, დემოკრატიულ სახელმწიფოში საშუალო ფენა მოსახლეობის 70–80%-ია. მდიდრები და ღარიბები კი – 10–20%, რომლებსაც აქვთ გამჭვირვალე, ოფიციალური შემოსავალი. ეს ძირითადად ლეგალურ ბიზნესში დასაქმებული მეწარმეები და ინტელიგენციაა.

ჩვენთან საშუალო ფენა რაოდენობრივად მცირეა, მათი უმრავლესობის შემოსავლები არალეგალურია. უნდა ვივარაუდოთ, რომ მოსახლეობის ეს ნაწილი ვერ უზრუნველყოფს დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობას. შედეგად, სუსტია სამოქალაქო საზოგადოების შესაბამისი კულტურა, დაბალია კოლექტიური ცნობიერება. არასამთავრობოებისადმი იგრძნობა ეჭვი და უნდობლობა. მთავრობაც ასეთ გაერთიანებებს ნაკლებად უწევს ანგარიშს.

არსებული კავშირები: პროფკავშირები, გადამხდელთა, მეწარმეთა და ა.შ. ნაკლებ ქმედითია. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ისინი იმიტომ არსებობს, რომ მსგავსი რამ ცივილიზებულ ქვეყანაში უნდა არსებობდეს. როდესაც არასამთავრებო ორგანიზაციები „ზემოდან“ ფინანსდება და საერთაშორისო გრანტების განაწილება სუბიექტურად ხდება, ეჭვი ჩნდება, რომ მსგავსი არასამთავრებო ინსტიტუტები რეალურად არ უწყობს ხელს ქვეყანაში დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრებას. თუმცა აღნიშნული არ ეხება ყველა არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელთა შორის ნამდვილად არის ჭეშმარიტი გაერთიანებები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამოქალაქო საზოგადოება და დემოკრატია ვითარდება საბაზრო ინსტიტუტების, პირველ ყოვლისა ჯანსაღი კონკურენციის დანერგვით, რისი პირობებიც ჯერჯერობით ჩვენთან ძალზედ სუსტია.

ოჯახური, მეგობრული და ნათესაური კავშირებისგან განსხვავებით, სადაც ურთიერთობები სტატუსურია, სამოქალაქო საზოგადოებაში მოქალაქეებს აერთიანებს საერთო ინტერესები, რომლებიც მათ კონკურენციის პირობებში უნდა დაიცვან. სწორედ კონკურენცია აიძულებს მოსახლეობას დაამყაროს აუცილებელი სამოქალაქო კავშირები.

თუ ქვეყანაში არაჯანსაღი სოციალურ-ეკონომიკური გარემოა, დაბალია მოსახლეობის სამოქალაქო ცნობიერება, იგი ქმნის ვერტიკალურ კავშირებს. აღნიშნული ურთიერთობები რაოდენობრივად შეზღუდული და ძირითადად არაოფიციალურია. როდესაც მაღალია სამოქალაქო ცნობიერების დონე, შესაბამისად ძლიერია დემოკრატიული ინსტიტუტები. მოსახლეობა ამყარებს ჰორიზონტალურ კავშირებს და მიმართავს სოციალური პროტესტის საშუალებებს, რომლის ზემოქმედების შესაძლებლობები ბევრად მაღალია.

საპროტესტო მოძრაობა მოიცავს მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ჯგუფის, სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად, აქტიურ ლეგიტიმურ ქმედებებს. აღნიშნული მოიცავს პროტესტის სხვადასხვა ფორმას: გაფიცვებს, დემონსტრაციებს, მიტინგებს, პიკეტებს, შიმშილობას, კოლექტიურ მიმართვებს მთავრობისადმი. ამ დროს აუცილებელია მინიმალური სამართლებრივი განათლების დონე, ისეთი ქმედებების განხორციელება, რომ არ დაირღვეს სამართლებრივი აქტები და არ შეილახოს საკუთარი და სხვისი უფლებები. აღნიშნული მოძრაობის ინიციატორი შეიძლება იყოს პროფკავშირი, არასამთავრობო ორგანიზაცია, სხვადასხვა ასოციაცია, ქარიზმატული თვისებების მქონე პიროვნება – ლიდერი.

საკუთარი უფლებების და ქვეყნის მიმართ საჭიროა პასუხისმგებლური დამოკიდებულების ჩამოყალიბება. საზოგადოებრივმა გაერთიანებამ უნდა შექმნას ორგანიზაციული საფუძვლები მოქალაქეთა მონაწილეობისათვის სახელმწიფოებრივი მშენებლობისა და მისი დემოკრატიულად მოწყობის საქმეში.

ამ გზით უნდა შეიქმნას რეალური არჩევითი, არასამთავრობო ინსტიტუტები, რომლებიც სოციალურ-ეკონომიკური პროცესების რეგულირების აქტიური მონაწილე გახდება. მსგავსმა ინსტიტუტებმა მაქსიმალურად გამჭვირვალე უნდა გახადოს საზოგადოებრივი ურთიერთობები, გავლენიანი აზრით და ჯანსაღი კონფრონტაციით გამჭვირვალე კონტროლი დაამყაროს ხელისუფლების საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო განშტოებებზე.

სამოქალაქო საზოგადოება ხელისუფლებასთან დიალოგის აქტიური წევრი უნდა გახდეს და მონაწილეობდეს როგორც წარმომადგენლობით (რეგულარული არჩევნების გზით ხელისუფლების ჩამოყალიბება), ისე ქვეყნის დემოკრატიზაციაში ხელისუფლებასთან მუდმივი დიალოგის გზით.

თუ გავაანალიზებთ დემოკრატიული ქვეყნების მიერ განვლილ გზას, დავინახავთ, რომ ისტორიულ მონაკვეთებში სხვა ქვეყნებიც ყოფილა არანაკლებ მძიმე ვითარებაში, მაგრამ მოუხერხებია კრიზისის დაძლევა და დაბრუნება ცივილიზებული განვითარების გზაზე. გვჯერა, რომ ჩვენც ავაშენებთ განვითარებულ ქვეყანას, სადაც საკუთარ სიტყვას იტყვის დემოკრატიული ფასეულობებით აღჭურვილი მრავალრიცხოვანი საშუალო ფენა.

## დასკვნა

გაეროს საზოგადოების მდგრადი განვითარების კონცეფციის მიხედვით. ეკონომიკური ზრდა უნდა შეესაბამებოდეს პიროვნების ფართო მასების კეთილდღეობის დონის ამაღლებას, მათი უფლებისა და თავისუფლების დაცვას.

შემოსავლების მკვეთრი უთანაბრობის დროს, როდესაც ეროვნული ეკონომიკა მონოპოლიზებულია ხელოვნურად, ეკონომიკური ზრდის შედეგებს ძირითადად მოსახლეობის მდიდარი ფენა გრძნობს, ვინაიდან მის ხელშია მაღალი შემოსავლების მიღების პრაქტიკული ბერკეტები – მაღალი თანამდებობები, საჭირო სოციალური კავშირები და ა.შ.

სამოქალაქო საზოგადოება არსებობს იქ, სადაც ეკონომიკურად და პოლიტიკურად თავისუფალი ადამიანი მონაწილეობს სახელმწიფო მართვაში და თვითორგანიზაციის გზით გაცნობიერებული ინტერესების დაცვას უზრუნველყოფს.

## ლიტერატურა


1. Gabidzinashvili KH. (2008). Economic and social aspects of formation of the middle class in Georgia. dissertation Ek. To obtain the degree of Doctor of Sciences.
2. Maglagelidze A. (2019). Challenges of middle class formation in Georgia in the context of entrepreneurship development. globalization and business, N8, 116-119. Retrieved from: https://openurl.ebsco.com/EPDB%3Agcd%3A4%3A8640180/detailv2?sid=ebsco%3Aplink%3Ascholar&id=ebsco%3Agcd%3A141142861&crl= f
3. Pipes R. 2000. Property and freedom. Knopf Doubleday Publishing Group.
4. Otinashvili R., Vanishvili M. (2020). COMPETITIVE STRATEGY IN BUSINESS (UDC 336 (075.13)), The 4 th International scientific and practical conference "The world of science and innovation", November 11-13, 127-134 p., London: Cognum Publishing House United Kingdom. 1007 p. ISBN 978-92-9472-197-6, https://sci-conf.com.ua/wp-content/uploads/2020/11/THE-WORLD-OF-SCIENCE-AND-INNOVATION-11-13.11.2020 .pdf;
5. Forbes. (2023). Retrieved from: https://forbes.ge/qveqhnebis-reitingi-erth-sul-mosakhleze-mshp-is-mikhedvith
6. https://csogeorgia.org/ge/post/samokalako-sazogadoebis-mightsevebi-da-gamotsvevebi

UDC 09
SCOPUS CODE 1407
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-1-164-173

# Civil Society Challenges in Georgia

**Ramaz Otinashvili** Department of Business administration, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: R.Otinashvili@gtu.ge

**Shalva Kutubidze** Department of Business administration, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: Kutubidzeshako@gmail.com

**Giorgi Otinashvili** Kutaisi International University, Georgia, 4600, Fifth lane, Evenue of youth
E-mail: giorgiotinashvili12@gmail.com

**Reviewers:**

**G. Kurashvil,** Professor, Academic Doctor of Economics, Faculty of Business Technologies,GTU
E-mail: g.kurashvili@gtu.ge

**Sh. Veshapidze,** Associate Professor, Doctor of Economic Sciences, Faculty of Economics and Business, TSU
E-mail: shota.veshapidze@tsu.ge

**Abstract.** At the modern stage of Georgia's development, a series of challenges have appeared, which require a complex analysis of the historical background, with the calculation of quality, transition procedures and mechanics, in order to realize the social energy of the household in a positive direction. Building materials are formed on the basis of the middle layer. In a democratic government, it comprises 70-80% of the population and has a transparent office. These are mainly entrepreneurs and intelligentsia employed in legal business, who create the so-called Protest democracy, which is "dangerous" for non-democratic government.

It is difficult to separate the middle class by any single sign. It is necessary to introduce “integral criterion”, which includes a set of quantitative and qualitative signs characteristic of the mentioned layer. Why do they live like that – do they have the appropriate professional-cultural capital and how do they use it to ensure a decent standard of living. Unfortunately, in Georgia, there is little tendency to form a capable middle class. We cannot consider the existing social structure of the population as sustainable. Civil society and democracy develop with the introduction of market institutions and healthy competition in the private sector, the conditions of which are still weak in our country.

**Keywords:** civil society; competition; democracy; state; middle class.

*განხილვის თარიღი 12.09.2024*
*შემოსვლის თარიღი .21.112024*
*ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.03.2025*